ცესკო
საქართველოს
საარჩევნო
ადმინისტრაცია

საარჩევნო სისტემების
განვითარების, რეფორმებისა და
სწავლების ცენტრი

სამახსოვრო გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღები კომისიის წევრისთვის

განკუთვნილია იმ საარჩევნო უბნისთვის, სადაც კენჭისყრა ელექტრონული საშუალებების გამოყენებით ტარდება



წინამდებარე რესურსი მომზადებულია საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიისა და სსიპ საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის მიერ.

სამახსოვრო ინსტრუქცია წარმოადგენს დამხმარე რესურსს კომისიის წევრის მიერ ფუნქციის შესაბამისად ამომრჩევლისთვის კვალიფიციური სერვისის განსახორციელებლად.

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა იწყება კენჭისყრის დღის 09:00 საათიდან.

კომისიის თავმჯდომარე, ფუნქციის შესასრულებლად გადმოგცემთ:

- დალუქულ გადასატან საარჩევნო ყუთს;
- გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის კომისიისთვის განკუთვნილ ვერსიას;
- საჭირო რაოდენობის საარჩევნო ბიულეტენებს;
- საარჩევნო ბიულეტენის შესავსებ სპეციალურ მარკერებს;
- საჭირო რაოდენობის სპეციალურ ჩარჩო-კონვერტებს;
- ლითონის სამაგრებს (ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენის სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოთავსების შემდგომ, ჩარჩო-კონვერტი ლითონის სამაგრით მაგრდება და თავსდება გადასატან საარჩევნო ყუთში);
- მარკირების შესამოწმებელ ულტრაიისფერ ფარანს;
- მარკირების სითხეს;
- კალმისტრებს (გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩევლის მიერ ხელმოწერის დაფიქსირების მიზნებისთვის);
- ლითონის შემკვრელს (გამოიყენება საარჩევნო ბიულეტენის გაფუჭების შემთხვევაში ხმის ფარულობის უზრუნველსაყოფად);
- საკანცელარიო მაკრატელს (გამოიყენება საარჩევნო ბიულეტენის გაფუჭების შემთხვევაში საარჩევნო ბიულეტენზე კუთხის ჩამოსაჭრელად);
- გადასატანი საარჩევნო ყუთის ჭრილის ლუქს.

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა განახორციელეთ შემდეგი თანმიმდევრობით:

I. სთხოვეთ ამომრჩეველს წარმოგიდგინოთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი.

ყურადღება! ამომრჩეველი კენჭისყრაში მონაწილეობს, თუ წარადგენს პირადობის დამადასტურებელ ერთ-ერთ დოკუმენტს:

- ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის ელექტრონულ მოწმობას;
- ✓ საქართველოს მოქალაქის პირადობის არაელექტრონულ მოწმობას (რომელსაც არ აქვს ინფორმაციის ელექტრონული მატარებელი);
- ✓ საქართველოს მოქალაქის პასპორტს.

II. შეამოწმეთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მოქმედების ვადა. საქართველოს მოქალაქის პირადობის არაელექტრონული მოწმობის წარდგენის შემთხვევაში შეამოწმეთ პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის თარიღი.

ყურადღება! თუ ამომრჩეველი წარადგენს ვადაგასულ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს, ან ძალადაკარგულ საქართველოს მოქალაქის პირადობის არაელექტრონულ მოწმობას (ძალადაკარგულია 2011 წლის 27 ივლისის ჩათვლით გაცემული არაელექტრონული მოწმობა), მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა. ამომრჩეველს განუმარტეთ კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარის თქმის საფუძველი და მიუთითეთ, რომ კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება მიეცემა, თუ წარმოადგენს მოქმედ პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

III. მარკირების შესამოწმებელი ხელსაწყოს (ულტრაიისფერი ფარანი) გამოყენებით შეამოწმეთ, ხომ არ აღენიშნება ამომრჩეველს ხელზე მარკირება.

ყურადღება!

✓ თუ მარკირების შესამოწმებელმა ხელსაწყომ გამოავლინა, რომ ამომრჩეველს უკვე აქვს მარკირება, მას ეკრძალება კენჭისყრაში მონაწილეობა. ამომრჩეველს განუმარტეთ კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარის თქმის საფუძველი. ფაქტთან დაკავშირებით დაწერეთ ახსნა-განმარტება (ამომრჩევლის გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში რიგითი ნომრის, სახელისა და გვარის მითითებით). ხელი მოაწერეთ დოკუმენტს თანმხლებ პირებთან ერთად (ასეთის არსებობისას).

✓ ამომრჩეველი, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები („ფიზიკური მდგომარეობა“), არ გადის მარკირების შემოწმების პროცედურას.

IV. შეამოწმეთ ამომრჩევლის მიერ წარდგენილ დოკუმენტში შეტანილი ამომრჩევლის სარეგისტრაციო მონაცემებისა და გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებული მონაცემების შესაბამისობა. მონაცემების შესაბამისობის დადასტურების შემთხვევაში, ამომრჩეველს გაუკეთეთ მარკირება მარჯვენა ხელის ცერა ან საჩვენებელი თითის ფრჩხილზე (თუ აღნიშნული მოქმედების შესრულება შეუძლებელია – მარჯვენა ხელის სხვა თითებზე, ხოლო თუ ესეც შეუძლებელია, იმავე წესით მარცხენა ხელზე).

ყურადღება!

- ✓ მარკირების პროცედურის გავლაზე უარის შემთხვევაში, ამომრჩეველს არ აქვს კენჭისყრაში მონაწილეობის უფლება. ამომრჩეველს განუმარტეთ კენჭისყრაში მონაწილეობაზე უარის თქმის საფუძველი.
- ✓ ამომრჩეველს, რომელსაც არ აქვს ზედა კიდურები („ფიზიკური მდგომარეობა“) არ უტარდება მარკირების პროცედურა.
- ✓ მარკირება არ გამოიყენება პენიტენციურ დაწესებულებებში, საავადმყოფოებსა და სხვა სტაციონარულ სამკურნალო დაწესებულებებში (ავადმყოფების მიმართ).

V. მარკირების პროცედურის განხორციელების შემდეგ, ხელი მოაწერეთ გადასატანი საარჩევნო ყუთის სიის სათანადო გრაფაში და მიუთითებს ამომრჩეველს, სიაში ხელმოწერით დაადასტუროს საარჩევნო ბიულეტენის მიღება.

ყურადღება!

თუ კენჭისყრის პროცესში გამოვლინდა, რომ ამომრჩეველმა გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ხელი მოაწერა სხვა ამომრჩევლის გვარის გასწვრივ არსებულ გრაფაში, ასეთ შემთხვევაში ამომრჩეველმა, რომლის გვარის გასწვრივ ფიქსირდება ხელმოწერა, ხელი უნდა მოაწეროს იმავე გრაფაში. ფაქტთან დაკავშირებით დაწერეთ ახსნა-განმარტება (ამომრჩევლის გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში რიგითი ნომრის, სახელისა და გვარის მითითებით). ხელი მოაწერეთ დოკუმენტს თანმხლებ პირებთან ერთად (ასეთის არსებობისას).

VI. ამომრჩევლის რეგისტრაციის პროცედურის დასრულების შემდეგ, ამომრჩეველზე გაეცით საარჩევნო ბიულეტენი. ამომრჩეველს განუმარტეთ საარჩევნო ბიულეტენის შევსების და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენების წესი:



„ხმის მისაცემად საარჩევნო ბიულეტენში სრულად გააფერადეთ თქვენთვის სასურველი მხოლოდ ერთი სუბიექტის წინ არსებული წრე (წრის შიდა სივრცე). საარჩევნო ბიულეტენი არ გადაკეცოთ და შევსებული ბიულეტენი მოათავსეთ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში არჩევანის ფარულობის მიზნით“.

VII. საარჩევნო ბიულეტენის შევსების და სპეციალური ჩარჩო-კონვერტის გამოყენების წესის განმარტების შემდეგ, სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოათავსეთ საარჩევნო ბიულეტენი ისე, რომ სრულად დაიფაროს საარჩევნო სუბიექტების ჩამონათვალი. ამომრჩეველს მიუთითეთ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენის ზედა მხარეს გააფერადოს საცდელი წრე.



სპეციალური ჩარჩო-კონვერტში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენის ზედა მხარეს განთავსებული საცდელი წრე

VIII. ამომრჩეველს გადაეცით სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენი და მიუთითეთ ფარულობის პრინციპის დაცვით შეავსოს საარჩევნო ბიულეტენი.

ყურადღება!

- ✓ თუ ამომრჩეველს არ შეუძლია საარჩევნო ბიულეტენის დამოუკიდებლად შევსება, მას უფლება აქვს, დასახმარებლად მიიწვიოს ნებისმიერი პირი, გარდა საარჩევნო კომისიის წევრისა, კანდიდატისა, საარჩევნო სუბიექტის წარმომადგენლისა, პრესისა და მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებების წარმომადგენლისა და დამკვირვებლისა.
- ✓ თუ ამომრჩეველს გაუფუჭდა საარჩევნო ბიულეტენი ან სპეციალური ჩარჩო-კონვერტი, ამომრჩეველს შეუცვალეთ გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი/სპეციალური ჩარჩო-კონვერტი ახლით. ამომრჩევლის თანდასწრებით, გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენი დაკეცეთ იმგვარად რომ შეუძლებელი იყოს საარჩევნო სუბიექტების დანახვა, გადაკეცილი საარჩევნო ბიულეტენი დაამაგრეთ ლითონის შემკვრელით, ჩამოაჭერით კუთხე, დააწერეთ „გაფუჭებულია“ და მოაწერეთ ხელი.

IX. მას შემდეგ, რაც ამომრჩეველი სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოათავსებს შევსებულ საარჩევნო ბიულეტენს, უზრუნველყავით სპეციალურ ჩარჩო-კონვერტზე ლითონის სამაგრების დამაგრება (ასეთი ფორმით თავსდება სპეციალური ჩარჩო-კონვერტი გადასატან საარჩევნო ყუთში).



X. გახსენით გადასატანი საარჩევნო ყუთის ქრილი და მიუთითეთ ამომრჩეველს, ხმის მიცემისთვის განკუთვნილ სპეციალურ ჩარჩო-კონვერტში მოთავსებული საარჩევნო ბიულეტენი ჩაუშვას საარჩევნო ყუთში.

რა უნდა გაითვალისწინოს გადასატანი საარჩევნო ყუთის წამღებმა კომისიის წევრმა ფუნქციის შესრულებისას:

თუ გადასატანი საარჩევნო ყუთით ხმის მიცემის პროცესზე დაკვირვების უფლების მქონე პირების მხრიდან ვლინდება შემთხვევები, როგორიცაა: კომისიის წევრის საქმიანობაში ჩარევა; ამომრჩეველთა ნების თავისუფალ გამოვლენაზე გავლენა; აგიტაცია; ამომრჩევლისთვის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის გამორთმევა/ჩვენების მოთხოვნა/ფოტოვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება; გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში ამომრჩევლის მონაცემების და ამომრჩევლის მიერ საარჩევნო ბიულეტენზე გაკეთებული არჩევანის ფოტოვიდეოგადაღება ან სხვაგვარი დამუშავება - <u>მოახდინეთ მყისიერი რეაგირება, მიუთითეთ დამრღვევს აღკვეთოს კანონსაწინააღმდეგო ქმედება და ფაქტთან დაკავშირებით აცნობეთ კომისიის თავმჯდომარეს.</u>

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურა სრულდება 19:00 საათზე (კენჭისყრა დამთავრებულად ითვლება 19:00 საათამდე ნებისმიერ დროს, თუ კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში შეყვანილმა ყველა ამომრჩეველმა).

გადასატანი საარჩევნო ყუთის მეშვეობით კენჭისყრის პროცედურის დასრულების შემდეგ, დაუყოვნებლივ ილუქება საარჩევნო ყუთში საარჩევნო ბიულეტენების ჩასაგდები ქრილი.

ყურადღება! თუ გადასატანი საარჩევნო ყუთის ლუქის მთლიანობა დაირღვა, გადასატანი ყუთის წამღებმა კომისიის წევრებმა დაუყოვნებლივ უნდა აცნობოთ კომისიის თავმჯდომარეს, შეადგინოთ ახსნა-განმარტება მიზეზის მითითებით და ხელი მოაწეროთ თანმხლებ პირებთან ერთად.

გადასატანი საარჩევნო ყუთი საარჩევნო უბანზე უნდა დაბრუნდეს არაუგვიანეს 20:00 საათისა.

კენჭისყრის შენობაში დაბრუნების შემდეგ საუბნო საარჩევნო კომისიის მდივანს გადაეცით:

- ✓ გამოუყენებელი საარჩევნო ბიულეტენები (ასეთის არსებობისას);
- ✓ გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენები (ასეთის არსებობისას);
- ✓ გამოუყენებელი სპეციალური ჩარჩო-კონვერტები (ასეთის არსებობისას);
- ✓ გადასატანი საარჩევნო ყუთის სია.

კომისიის მდივანი შეამოწმებს მობრუნებული გამოუყენებელი/გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობის სისწორეს. ამ მიზნით კომისიის მდივანი თქვენთვის გადმოცემული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას გამოაკლებს გადასატანი საარჩევნო ყუთის სიაში არსებულ ამომრჩეველთა ხელმოწერების რაოდენობას და მიღებულ მონაცემს შეუდარებს მობრუნებული გამოუყენებელი/გაფუჭებული საარჩევნო ბიულეტენების რაოდენობას. უზუსტობის აღმოჩენის შემთხვევაში უნდა დაწეროთ ახსნა-განმარტება მიზეზის მითითებით. ახსნა-განმარტებაში ასახული მონაცემები, გაითვალისწინება კენჭისყრაში/არჩევნებში მონაწილე ამომრჩეველთა რაოდენობის დადგენისა და კენჭისყრის შედეგების შემაჯამებელი ოქმის შედგენის მიზნებისთვის.